

## THE INFLUENCE OF CULTURE ON LANGUAGE FORMATION

## კულტურის გავლენა ენის ფორმირებაზე

Irma Rusadze

Doctor of Philology,

Associate Professor of Akaki Tsereteli State University

Tamar Mepe St #59, 4600, Kutaisi, Georgia

+995 577 66 84 65, irmarusadze@gmail.com

<https://orcid.org/0009-0003-8391-0623>

**Abstract.** The paper deals with the discussion of cultural influence on language formation. In the modern world, when the whole society follows the way of globalization, special importance is attributed to the lingoculturological researches which establish culture common to all the mankind and at the same time, show the separate culture and originality. Such researches are extremely urgent for the cultures of minor nations, as the means of preserving their independence. Language in Lingoculturology is firmly discussed together with the culture, the ability to think, psychics and the man's soul nature. Interrelation between the language and the culture mainly defines the man with his mentality, emotions. The special role of the language in the relation to the culture is conditioned with the fact, that it is the essential way of the existence, realization and development of the culture,

Idiomatic speech of the language is the constant and important feature of spoken style. There are different kinds of ways for making our speech more diverse. Every language gives us a lot of possibilities to have complete emotional expression to our thoughts and feelings. In usual and spontaneous dialogues speakers not only share their thoughts or exchange different information, but also with the help of language means they express their feelings and emotions, which show the state of people in which they are, so somatic idioms, which were formed under the cultural influence, are given with a little dose in the language, but there are some instances in every language when some somatic component concretely shows characteristic norms and customs of the culture of any nation.

**Keywords:** Lingoculturology, Language and Culture, Somatic Idioms, Somatic Component.

ირმა რუსაძე

ფილოლოგიის დოქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

თამარ მეფის #59, 4600, ქუთაისი, საქართველო

+995 577 66 84 65, irmarusadze@gmail.com

<https://orcid.org/0009-0003-8391-0623>

**აბსტრაქტი.** თანამედროვე მსოფლიოში შექმნილ ვითარებაში, როდესაც მთელი მსოფლიო საზოგადოება მიდის გლობალიზაციის გზით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ლინგოკულტუროლოგიური ხასიათის კვლევები, რომლებიც გამოკვეთს ზოგადსაკაცობრიო კულტურის სახეს და ამავე დროს წარმოგვიდგენს ცალკეული კულტურის სპეციფიკასა და თვითმყოფადობას. ამგვარი კვლევები უაღრესად ფასეულია მცირერიცხოვანი ერების კულტურებისათვის, როგორც თვითმყოფადობის შენარჩუნების მძლავრი იარაღი. ლინგოკულტუროლოგიაში ენა განხილულია კულტურასთან,

ადამიანის აზროვნებასთან, ფსიქიკასთან და სულიერებასთან მჭიდრო კავშირში. ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებას უპირველესად განსაზღვრავს ადამიანი თავისი მენტალობით, ემოციებით. ენის განსაკუთრებული როლი კულტურასთან მიმართებაში განპირობებულია იმით, რომ იგი კულტურის არსებობის, გაცნობიერებისა და განვითარების ძირითადი საშუალებაა.

მეტყველების იდიომატურობა სასაუბრო სტილის მუდმივი და მნიშვნელოვანი თავისებურებაა. არსებობს სხვადასხვა გზა და საშუალება იმისათვის, რომ ჩვენი მეტყველება უფრო მრავალფეროვანი გახდეს. ნებისმიერი ენა იძლევა უამრავ საშუალებას, რათა ჩვენს აზრებსა და შეგრძნებებს სრული ემოციური გამომსახველობა მიენიჭოს. ჩვეულებრივ და სპონტანურ დიალოგებში მოსაუბრენი არა მხოლოდ ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ აზრებს ან ერთმანეთს უცვლიან სხვადასხვა ინფორმაციას, არამედ ასევე, ენობრივი საშუალებებით გადმოცემენ თავიანთ გრძნობებსა და ემოციებს, რომლებიც გამოსახვენ ადამიანთა იმ მდგომარეობას, რომელშიც ისინი იმყოფებიან, ამიტომ სომატური იდიომები, რომლებიც კულტურული გავლენის საფუძველზე წარმოიშვა, ზოგადად მცირე დოზით მოგვეწოდება, მაგრამ ნებისმიერ ენაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზოგიერთი სომატური კომპონენტი კონკრეტულად ასახავს ერის კულტურისათვის დამახასიათებელ ნორმებსა და წეს-ჩვეულებებს.

ენაში ასახვას პოულობს ადამიანის შემოქმედებითი (შემეცნებითი) მოღვაწეობის მთელი მრავალფეროვნება, რომლის შედეგებიც მკვიდრდება ენაში. მასში აისახება იმ პირობების უსასრულო მრავალფეროვნება, რომლებშიც ხდება ადამიანის მიერ ცოდნის დაგროვება სამყაროს შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** ლინგვოკულტუროლოგია, ენა და კულტურა, სომატური იდიომები, სომატური კომპონენტი.

**შესავალი.** უახლესი დროის მსოფლიო სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა გამოიწვიეს ხალხების აქამდე არნახული მიგრაცია, გადასახლება, აღრევა, შეტაკება და როგორც შედეგი, მათი კულტურების კონფლიქტი. ეს პრობლემა ერთ-ერთი ცენტრალურია თანამედროვე ეპოქაში, რომელიც ცდილობს გადაწყვიტოს იგი კულტურათაშორისი დიალოგის, ურთიერთგაგების, მიმტევებლობის გზით.

ახალი დროის მეცნიერება ამა თუ იმ კულტურას შეისწავლის კომპლექსურად, მისი განვითარების ყველა ასპექტში: ცხოვრების წესი, მსოფლმხედველობა, ცნობიერება, მენტალიტეტი, ნაციონალური ხასიათი, ადამიანის სულიერი, საზოგადოებრივი და წარმოებითი მოღვაწეობის შედეგები.

ნებისმიერი კულტურის შესწავლა და აღწერა შეუძლებელია მისი ენის შესწავლის გარეშე, რადგან სწორედ ენაა ეთნოსის მთავარი მახასიათებელი და ეთნიკური იდენტიფიკაციის ძირითადი ფაქტორი. ენაში ხდება კულტურის ეროვნული მსოფლმხედველობის გამოვლენა, ასახვა და ფიქსაცია. ამავე დროს ენა წარმოადგენს ამა თუ იმ ლინგვოკულტურული ერთობლიობის ისტორიულ მეხსიერებას, გამოხატავს მის შეხედულებებს ეთიკურ და ესთეტიკურ ნორმებზე.

**მეთოდები.** სტატიაში გამოყენებულია კულტუროლოგიური ანალიზი, დაკვირვების მეთოდი, დაფუძნებული საკითხის ირგვლივ სამეცნიერო ლიტერატურასა და განმარტებით ლექსიკონებზე. გამოყენებულია უაღრესად ფასეული კომპლექსური და შეპირისპირებითი ანალიზი ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით.

**შედეგები.** კულტურათა ურთიერთობის კანონზომიერება ჩართული სამეტყველო პროცესში, ენობრივ სახედ იქცევა და უკვე ენობრივი ცნობიერების კატეგორიის კონტექსტში იძენს ახალ ასოციაციურ მიმართულებებს, რომლებიც აუცილებელია ნაციონალური კულტურის ამა თუ იმ ფენომენის ენობრივი მოდელირებისათვის.

**მსჯელობა.** თანამედროვე მეცნიერების ყურადღების ცენტრშია მოქცეული ენის, ცნობიერებისა და კულტურის რთული ურთიერთმოქმედება. როდესაც ენაში აისახება ყოველი კონკრეტული ეთნოსის კულტურული ცნობიერების ფაქტები, ხოლო ენობრივი კატეგორიები, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ ადამიანის ცნობიერებაზე, განსაზღვრავენ მისი აზროვნების ტიპს, მსოფლადქმას, ღირებულებების სისტემასა და სოციალურ ქცევას. ამრიგად, ადამიანის მიერ სინამდვილის აღქმა განპირობებულია იმ ეთნოჯგუფის კულტურით, რომელსაც იგი მიეკუთვნება, რაც აისახება მის ენაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ენა წარმოადგენს გარკვეულ კულტურულ კოდს, რომელიც იჭრება რა აზროვნების ყველა პროცესში, აყალიბებს ადამიანის-ენის მატარებლის პიროვნებას მასში კოდირებული მსოფლმხედველობის, მენტალიტეტის შესაბამისად. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ენა წარმოადგენს ეთნოსის ჩამოყალიბების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს, ქმნის ერს კულტურის, ტრადიციების, საზოგადოებრივი თვითშეგნების შენახვისა და თაობიდან თაობაში გადაცემის მეშვეობით.

ენის განსაკუთრებული როლი კულტურასთან მიმართებაში განპირობებულია იმით, რომ იგი კულტურის არსებობის, გაცნობიერებისა და განვითარების ძირითადი საშუალებაა. სწორედ ენა წარმოადგენს კულტურის მიერ მისი ისეთი ძირითადი ფუნქციების ძირითად პირობას და საშუალებას, როგორცაა : ა) გარესამყაროს ასახვა და შეცვლა, ბ) კომუნიკაციური (სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცვლა, გ) სამყაროს სურათის ენობრივი მოდელირება, დ) კუმულაციური (ინფორმაციის დაგროვება და შენახვა).

ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების მჭიდრო კავშირი საკმაოდ საფუძვლიანად აისახა ვ. ჰუმბოლდტის იდეებში, რომლის მოსაზრებებით, ენა წარმოადგენს 'ხალხის სულს', ხალხის ყოფიერებას. კულტურა უპირველეს ყოვლისა ენაში ვლინდება. იგი კულტურის ჭეშმარიტი რეალობაა. კულტურის მხრიდან კი იგი ფიქსირებული შეხედულებაა საკუთარ თავზე და სამყაროზე.

ენა არის ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლია დაგვეხმაროს, რათა ჩავწვდეთ მენტალობის ჩვენგან დაფარულ სფეროს, რადგან იგი განსაზღვრავს სამყაროს დაყოფა-დანაწევრების წესს ამა თუ იმ კულტურაში. იგი მოგვითხრობს ადამიანზე ისეთ რამეს, რასაც ადამიანი მის გარეშე ვერ ხვდება. ვ. ჰუმბოლდტი წერდა, რომ ენის შესწავლა არ წარმოადგენს თვითმიზანს. ყველა დანარჩენ სფეროსთან ერთად იგი ემსახურება საერთო უმაღლეს მიზანს-კაცობრიობის მიერ საკუთარი თავის და ყველაფერი ხილულისადმი თუ მისგან დაფარულისადმი საკუთარი დამოკიდებულების შეცნობას (Гумбольдт, 1984).

როგორც ე. ლევი-სტროსი აღნიშნავდა ენა ერთდროულად კულტურის პროდუქტიცაა. მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილიც და კულტურის არსებობის პირობაც. უფრო მეტიც, ენა კულტურის არსებობის სპეციფიკური საშუალება, კულტურული კოდების ფორმირების ფაქტორია. (Леви-Строс, 1995).

კულტურა აყალიბებს და აწესრიგებს ენობრივი პიროვნების აზრს, აყალიბებს ენობრივ კატეგორიებს და კონცეპტებს. კულტურის შესწავლა ენის მეშვეობით - ეს არის იდეა, რომელიც 'ჰაერში ტრიალებდა' ბოლო წლებში. ამ საერთო განწყობის ფონზე, XX

საუკუნის დასასრულს ლინგვისტიკაში მიღებულ იქნა შემდეგი პოსტულატი: ენა არა მარტო დაკავშირებულია კულტურასთან, იგი გამომდინარეობს, აღმოცენდება მის წიაღში და გამოხატავს მას. იგი ერთდროულად წარმოადგენს კულტურის შექმნის, განვითარებისა და შენახვის (ტექსტების სახით) იარაღსაც და მის ნაწილსაც, იმიტომ რომ, სწორედ ენის მეშვეობით იქმნება მატერიალური და სულიერი კულტურის რეალური, ობიექტურად არსებული ნაწარმოებები.

ნებისმიერი კულტურა წარმოადგენს პროცესს და ცვლილებების შემდეგ, სხვადასხვა ხალხის კულტურა განსხვავდება ერთმანეთისაგან. უპირველეს ყოვლისა, სამყაროს მიმართ აქტიური ქცევითი რეაქციით. სუბიექტის მოღვაწეობა სამყაროში ემყარება წესებს, კანონებს, რომლებიც კულტურასთან მომდინარეობს. სხვადასხვა ხალხს განსხვავებულ ბუნებრივ და ისტორიულ პირობებში უწევს ცხოვრება, რის გამოც, მათ უყალიბდებათ სამყაროს სპეციფიკური, განსხვავებული ხედვა, აღქმა და ასახვა ენის მეშვეობით. არ არსებობს ‘ზოგადად’ კულტურა, რადგანაც კულტურა ასახავს კონკრეტული ერის სოციალური პრაქტიკის სპეციფიკურ თავისებურებებს. არსებობს ინგლისური კულტურა, ქართული კულტურა, გერმანული, ფრანგული, რუსული და ა.შ. თითოეულ კულტურაზე საუბრისას გამოყოფენ მის სპეციფიკურ, განსაკუთრებულ ნიშან-თვისებებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ხალხის, ერის ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ ცხოვრებასთან, მის მენტალიტეტთან, სულიერებასთან.

რადგან კულტურა სიტუაციური აზროვნების ჩარჩოებში ყალიბდება და არსებობს, რომელიც მიბმულია განსაზღვრულ დროზე, ადგილზე, მოვლენასა და მთლიანად გამოცდილებაზე, ამიტომ ენა-კულტურის არსებობის ბუნებრივი გარემოა. სწორედ ენა უზრუნველყოფს მის მატარებელთა ურთიერთგაგებისა და მათი კომუნიკაციური ორიენტაციის ფორმირების საფუძველს. ამ თვალსაზრისით ენა წარმოადგენს კულტურის ერთგვარი სიმბოლური ორგანიზების საშუალებას.

მეტყველების იდიომატურობა სასაუბრო სტილის მუდმივი და მნიშვნელოვანი თავისებურებაა. არსებობს სხვადასხვა გზა და საშუალება იმისათვის, რომ ჩვენი მეტყველება უფრო მრავალფეროვანი გახდეს. ნებისმიერი ენა იძლევა უამრავ საშუალებას, რათა ჩვენს აზრებსა და შეგრძნებებს სრული ემოციური გამომსახველობა მიენიჭოს. ჩვეულებრივ და სპონტანურ დიალოგებში მოსაუბრენი არა მხოლოდ ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ აზრებს ან ერთმანეთს უცვლიან სხვადასხვა ინფორმაციას, არამედ ასევე, ენობრივი საშუალებებით გადმოცემენ თავიანთ გრძნობებსა და ემოციებს, რომლებიც გამოსახავენ ადამიანთა იმ მდგომარეობას, რომელშიც ისინი იმყოფებიან, ენის კუმულაციური ფუნქცია ახორციელებს კავშირს თაობათა შორის და წარმოადგენს არაენობრივი კოლექტიური გამოცდილების გადმოცემის საშუალებას და ვლინდება სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების სახით. მოდელები, რომლებიც ერთ კომპლექსში აერთიანებენ ენობრივ და კულტურულ მნიშვნელობებს ლიგვოკულტურებმად იწოდებიან, რომელთა კონკრეტულ ნაირსახეობას იდიომები, კერძოდ, სომატური იდიომები წარმოადგენენ.

ფრაზეოლოგიური ერთეული ანუ იდიომა, როგორც მათ მეცნიერები უწოდებენ, წარმოადგენენ ენის ლექსიკური მარაგის ყველაზე უფრო თვალწარმატაც, ფერადოვან და ხატოვან ნაწილს. ნებისმიერ ენაში იდიომები არის ერთგვარი სურათების გალერეა, სადაც თავმოყრილია ერის ჩვეულებების, თვისებების, ტრადიციების, ცრურწმენების, ზღაპრებისა და ისტორიის ამსახველი ცოცხალი და ნათელი სურათები. მასში თავმოყრილია ციტატები დიდი პოეტებისა და მწერლების გამონათქვამებიდან. სიბრძნის მარგალიტები, მოსწრებული გამოთქმები და ა.შ. რადგანაც იდიომები ლექსიკის არა მარტო ყველაზე ხატოვანი, აგრეთვე, ყველაზე უფრო დემოკრატიული ნაწილია და თავისი წყარო ხალხური მეტყველების ყველაზე უფრო მიუწვდომელი სიღრმიდან

მიეწოდება, ამ გაღერებაში შეიძლება ბევრ უცნაურ კოლოკვიალურ სომატურ გამონათქვამს წავაწყდეთ. მაგალითად; გულიდან ლოდის მოხსნა, გულის გადაშლა, თვალეში ნაცრის მიყრა, თვალი უჭირავს (ვინმეზე, რამეზე), თვალის ჩინი, ყურის თხოვება, სისხლი სწყურია, სისხლი უდღეს, და ა. შ.

ენაში ასახვას პოულობს ადამიანის შემოქმედებითი (შემეცნებითი) მოღვაწეობის მთელი მრავალფეროვნება, რომლის შედეგებიც მკვიდრდება ენაში. მასში აისახება იმ პირობების უსასრულო მრავალფეროვნება, რომლებშიც ხდება ადამიანის მიერ ცოდნის დაგროვება სამყაროს შესახებ. მაგალითად; ქართული იდიომები --- „სისხლს იღებს“, „სისხლის ანგარიშს გაასწორებს“, „სისხლი მართებს“ წარმოიქმნა იმ უძველესი ტრადიციის საფუძველზე, რომელიც არსებობდა საქართველოს ერთ-ერთ მხარეში- სვანეთში და გულისხმობდა შურისძიების მიზნით მტრის გვარის მამაკაცის მოკვლას. რუსულ ენაში არსებობს, მაგ; ფრაზეოლოგიზმი "г а д а т ь н а б о н а х", რომლის მნიშვნელობაც განიმარტება, როგორც ნელა საუბარი, ყურადღების გამახვილება წვრილმანებზე. იგი თავისი წარმოშობით უკავშირდება ძველ ტრადიციას-მკითხაობას მუხუდოს მარცვლებზე, რომელსაც თან ახლდა ნელი თხრობა და რომელიც ნელა, ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობდა. კიდევ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმისა, თუ როგორ აისახება ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ხალხის ყოფის, ისტორიის, ტრადიციებისა თუ წეს-ჩვეულებათა თავისებურებები (ონიანი, 1988)

კულტურული გავლენის საფუძველზე შექმნილი სომატური იდიომები ზოგადად მცირე დოზით მოგვეწოდება. ნებისმიერ ენაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზოგიერთი სომატური კომპონენტი კონკრეტულად ასახავს ერის კულტურისათვის დამახასიათებელ ნორმებსა და წეს-ჩვეულებებს. ამ დებულების სამართლიანობას ზემოთ მოყვანილი მაგალითები ადასტურებენ და ეს დებულება განსაკუთრებით სამართლიანია შემდეგი სომატიზმებისთვისაც.

მაგალითად; ულვაშების მოპარსვა, ფუი შენს ულვაშს, ეს ულვაში არა მქონდეს,  
ეს ულვაში არა მსხმია, ეს ულვაში მომპარსეთ თუ...,  
ეს ულვაში ძაღლისა იყოს, ულვაშზე ხელის გადასმა,  
ულვაში არა მქონდეს ზედა, ულვაში მრუდე მაქვსო,  
ულვაშის აწევა, ულვაშში ჩაფურთხება,  
ულვაშიც იმათ ესხათ და ნამუსის ქუდიც იმათ ეხუროთ

ეს სომატური იდიომები მხოლოდ ქართველი ერის კულტურისათვის არის დამახასიათებელი. ვინაიდან ცნობილია, რომ ულვაში ქართველი ერის კულტურაში ვაჟკაცობისა და სინდისის სიმბოლოდ აღიქმებოდა . მსგავსი სომატური იდიომების ნიმუშები სხვა ერების კულტურაში არ მოიპოვება. ენაში სრულყოფილად და ადეკვატურად აისახება ერის კულტურის განვითარება . სხვადასხვა ხალხის კულტურისა და ენის ურთიერთშეპირისპირებისას ვერასოდეს აღმოვაჩენთ სრულიად ერთსა და იმავე შემთხვევებს. თუმცა, შესაძლოა წავაწყდეთ ნაწილობრივ დამთხვევებს, ხოლო განსხვავება ეროვნული ელემენტებისა თითოეული ენისათვის ძალიან თავისებურია, რასაც კულტუროლოგიური მომენტი განსაზღვრავს.

ამგვარი მაგალითების ანალიზი იმას მოწმობს, რომ კოგნიტურ ცნობიერებასთან ერთად ყალიბდება ენობრივი ცნობიერებაც. თუკი საზოგადოებრივი ცნობიერების პირველი ფორმა ახდენს ენციკლოპედიური ცოდნის ინტეგრირებას, მისი მეორე ფორმა - ენობრივი ცნობიერება- იყენებს ვერბალიზებულ ცოდნას, რომელიც ახდენს კოგნიტური ცნობიერების შესაბამისი ელემენტების აქტივიზაციას. ამის შედეგად ხდება კოგნიტური ცნობიერების ელემენტთა ტრანსფორმირება ენობრივ პრესუპოზიციებად, რომლებიც საბოლოო ჯამში გადაიზრდებიან ენობრივი სემანტიკის კულტურულ-პრაგმატულ კომპონენტებად. ასეთი ტრანსმუტაციური პროცესების შედეგად ყალიბდება ყველა

ნაციონალური კულტურისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური არტეფაქტები- ენობრივი სახეები, სიმბოლოები, ნიშნები, რომლებიც შეიცავენ მთელი ეთნოკულტურული ერთობის ეფრისტიკული მოღვაწეობის შედეგებს

**დასკვნა.** ნაციონალური კულტურა დიალოგში შედის სხვა ნაციონალურ კულტურასთან და კულტურათა ასეთი შეხვედრის, კონტაქტის დროს იკვეთება ამა თუ იმ ეროვნული კულტურის ზოგიერთი მნიშვნელოვანი თვისება. კულტურათა ურთიერთობის კანონზომიერება განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს და იძლევა სხვადასხვა ენაში ლექსიკური სისტემის ამა თუ იმ მონაკვეთის ლინგვოკულტუროლოგიური სპეციფიკის გამოვლენის საშუალებას. სწორედ კულტურის ენობრივ მოდელირებად შეიძლება განვიხილოთ ფრაზეოლოგიზმები სომატური კომპონენტებით, ვინაიდან ენის ფრაზეოლოგიური ფონდი წარმოადგენს უმდიდრეს წყაროს ხალხის კულტურისა და მენტალიტეტის შესახებ. ფრაზეოლოგიურ ერთეულებში დაფიქსირებულია ხალხის წარმოდგენები მითებზე, წეს-ჩვეულებებზე, რიტუალებზე, მორალზე, ქცევაზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა

- ლებანიძე, გ. (2004). *კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სეხელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“.
- ნებიერიძე, გ. (1991). *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- ონიანი, ალ. (1988). *ქართული იდიომები*. თბილისი.
- Гумбольдт, В. (1984). *Избранные труды по языковедению*. Москва.
- Леви-Строс, К. (1995). *Структурная антропология*. Москва.
- Brown, P., & Levinson, S. C. (1987). *Politeness- Some Universals in language Usage*. Cambridge: Cambridge University Press.
- Cowie, A. P. (1994). Phraseology. In *The Encyclopedia of Language and Linguistics*, ed. R. Asher, Oxford: Pergamon Press.
- Cowie, A. P., Mackin, R., & McCaig, I. (1983). *Oxford Dictionary of Current Idiomatic English*. Oxford: Oxford University Press.
- Wierzbicka, A. (1985). *Different cultures, different languages, different speech acts*. Berlin: Mouton de Gruyter.

#### REFERENCES

- lebanidze, g. (2004). *k'omunik'atsiuri lingvist'ik'a [Communicative Linguistics]*. Tbilisi: "Language and Culture" Publishing House of Tbilisi Ilia Chavchavadze State University of Language and Culture.
- nebidze, g. (1991). *enatmetsnierebis shesavali [Introduction to Linguistics]*. Tbilisi: Publishing House „Ganatileba“.
- oniani, al. (1988). *kartuli idiomebi [Georgian Idioms]*. Tbilisi.
- Gumboldt, V. (1984). *Izbrannye trudy po jazykovznaniju [Selected Works on Linguistics]*. Moscow.
- Levi-Stros, K. (1995). *Stru'tkurnaja antropologija [Structural Anthropology]*. Moscow.
- Brown, P., & Levinson, S. C. (1987). *Politeness- Some Universals in language Usage*. Cambridge: Cambridge University Press.

- Cowie, A. P. (1994). Phraseology. In *The Encyclopedia of Language and Linguistics*, ed. R. Asher, Oxford: Pergamon Press.
- Cowie, A. P., Mackin, R., & McCaig, I. (1983). *Oxford Dictionary of Current Idiomatic English*. Oxford: Oxford University Press.
- Wierzbicka, A. (1985). *Different cultures, different languages, different speech acts*. Berlin: Mouton de Gruyter.